ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

UNFPA

UN WOMEN

ერთად გენდერული სტერეოტიპებისა
და გენდერული ძალადობის დასაძლევად
#eu4genderequality

პრესრელიზი

დრო: 20 დეკემბერი 2022 წელი, 14:00 საათი

მისამართი: დიმიტრი უზნაძის 52, თბილისი

განათლებაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით გამართული ღონისძიება

20 დეკემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, განათლებაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, „გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა“ კონკურსის საფუძველზე, ორგანიზებულ ვიდეო-კონკურსში მონაწილე სკოლების ღონისძიება გაიმართა.

მოწვეულს სტუმრებმა მიიღეს სრული ინფორმაცია პროექტის „გენდერულად გამართული სწავლება თანაბარი განათლების შესაძლებლობისთვის” მიზნებისა და მიღწევების შესახებ და ასევე, დაესწრნენ ვიდეო-კონკურსში მონაწილე მოსწავლეთა დაჯილდოებას.

ღონისძიება ჩატარდა პროგრამის „ გენდერულად გამართული სწავლება თანაბარი განათლების შესაძლებლობებისთვის”ფარგლებში, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციაა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისიურთიერთობების ცენტრი (CCIIR).

აღნიშნულ ღონისძიებას უმასპინძლეს და დამსწრე საზოგადოების წინაშე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოადგილე თამარ საბედაშვილი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის პროექტების დირექტორი ნათია გორგაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა განათლებაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული კონკურსის დაჯილდოების ცერემონია გახსნა და ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ღონისძიების ფარგლებში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის პროექტების დირექტორმა, ნათია გორგაძემ ისაუბრა პროექტის მიზნებსა და გამოწვევებზე, განათლებაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობასა და პროექტის „გენდერულად გამართული სწავლება თანაბარი განათლების შესაძლებლობებისთვის" განხორციელების დადებით შედეგებზე.

მოწვეულ სტუმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ კონკურსში გამარჯვებული ვიდეო რგოლი, გაცნობოდნენ გენდერულად პასუხისმგებლიანი და სტერეოტიპებისგან თავისუფალი სწავლებისკენ მიმართული პროგრამის უპირატესობებს.

ღონისძიების ბოლოს გაიმართა დაჯილდოება, კონკურსში მონაწილე მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ვიდეო-რგოლების საფუძველზე, რომელიც გენდერისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციის დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ იყო არჩეული.